TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავშანიანის საჯარო სკოლა შპს „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი

04.06.2024წ.

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავშანიანის საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი სკოლის დირექტორის, მაია ისიანის სახით და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, საგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების, საჯარო, კერძო და უმაღლეს სკოლებს შორის პროგრამული მემკვიდრეობის აუცილებლობით, ვითვალისწინებთ რა ინფორმაციის, მოწინავე გამოცდილების ოპერატიულად ურთიერთგაცვლის მნიშვნელობას, ვადასტურებთ ორი სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობებისა და პრაქტიკული კომპონენტის ხელშეწყობისთვის ურთიერთთანამშრომლობას:

1.მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წარმართონ საკუთარი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე.

2. მემორანდუმის მიზნები

2.1. მემორანდუმის მიზნებს წარმოადგენს:

ა) თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების და საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის ორმხრივად ურთიერთგაცვლა;

ბ) მხარეები სთავაზობენ ერთმანეთს, მოსწავლეებისა და სტუდენტების საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ლექცია/ტრენინგები, კონფერენციები და ისარგებლონ ამისათვის „საჯარო სკოლის“/„უნივერსიტეტის“ აუდიტორიებით/საკლასო ოთახებით, სპორტული მოედნითა და ბიბლიოთეკით;

გ) „უნივერსიტეტში“ ფუნქციონერებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის /აზერბაიჯანულენოვანთათვის /სომხურენოვანთათვის/ ოსურენოვანთათვის). საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სკოლადამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით "საჯარო სკოლაში" "უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს სხადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას;

დ) „სკოლა" და „უნივერსიტეტი" ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას საჯარო ლექციების, საგანმანათლებლო და სპორტული ოლიმპიადების, კონფერენციების ორგანიზება/ჩატარებაში. აგრეთვე, ერთობლივი გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების მოწყობაში;

3.მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე მემორანდუმი იდება უვადოთ, თუ მოშლილი არ იქნება ქვემოთ მოყვანილი პირობების გამო:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, საპატიო მიზეზის/საფუძვლის გარეშე, მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე მოშლის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპების გათვალისწინებით.

4.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობა, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

4.3 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და მემორანდუმის ფარგლებში და მის გარეთ განხორციელებული ქმედებებით ზიანი არ მიაყენონ მეორე მხარის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

5.ცვლილებები და დამატებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

6.მხარეთა ურთიერთობა

6.1. ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას.

6.2. მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

6.3. მხარეები საქმიანობას წარმართავენ პარტნიორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

7. სხვა პირობები

7.1. მემორანდუმი არ შეიცავს სხვა რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

7.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

7.3 მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის „უნივერსიტეტს" და „საჯარო სკოლას" შორის შესაძლებელია დაიდოს დამატებითი შეთანხმებები.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

8.2. ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე მემორანდუმს იმ დღესა და წელს, რომელიც მითითებულია მემორანდუმში.

სკოლა სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავშანიანის საჯარო სკოლა

მისამართი: სოფ. ჯავშანიანი

დირექტორი მაია ისიანი

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი"

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ N31

რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ვალენტინა საყვარელიძე _____